

# “კვიპროსული და არა სინგაპურული მოდელი!”

გაზეთი “მთელი კვირა” – 7 მარტი, № 057, 2011.

ექსპერტი ლადო პაპავა აცხადებს, რომ ევროპელი ექსპერტებისთვის გაუგებარია, რატომ აძლევს საქართველოს ხელისუფლება ევროკავშირს თანხმობას თავისუფალი ვაჭრობის შესახებ და შესაბამისი პირობების შესრულების ნაცვლად, სინგაპურის მოდელის გადმოღებას ცდილობს. როგორც იგი აღნიშნავს, სინგაპურიზაცია არამარტო არ არის თავსებადი დემოკრატიულ პრინციპებთან, არამედ წინააღმდეგობაში მოდის ქართულ მენტალიტეტთანაც და მიაჩნია, რომ ამ სისტემის გადმოღება საქართველოში ვერ მოხერხდება.

კონკრეტულად რას ნიშნავს სინგაპურიზაცია და ეს მოდელი რამდენად არის თანხელრაში საქართველოს ხელისუფლების განცხადებებთან თუ ქმედებებთან, ამ საკითხებთან დაკავშირებით „მთელი კვირა“ ექსპერტ ლადო პაპავას ესაუბრა.

**ლადო პაპავა:** სინგაპურიზაცია არის ეკონომიკის განვითარება საზოგადოების მოდერნიზაციის პირობებში ყოველგვარი დემოკრატიზაციის გარეშე.

ეს არის ის სქემა, როდესაც ქვეყნის სათავეში მოდის ავტორიტარული მმართველი, რომელიც ცდილობს, დიდი ფული ჩაიდოს განათლებაში, ახალგაზრდა კადრების საზღვარგარეთ მომზადებაში და ამის პარალელურად ფული ჩაიდოს ინფრასტრუქტურის განვითარებაში, რათა ამ საზღვარგარეთ განათლებამიღებულ ადამიანებს, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, ბიზნესის მართვის კარგი შესაძლებლობა ჰქონდეთ და ამ სტაბილურ გარემოში შემოდიოდეს უცხოური კაპიტალი.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას, რომლის გარეშეც ბიზნესის განვითარება შეუძლებალია.

ეკონომიკის განვითარების სინგაპურული მოდელი არის კლასიკური სქემა იმისა, თუ ავტორიტარული მმართველობის პირობებში როგორ შეიძლება ეკონომიკის განვითარება.

თანაც, საინტერესო ის არის, რომ სინგაპურის მოდელი არ გულისხმობს იმას, რომ ავტორიტარული რეჟიმი მაინცდამაინც უნდა იყოს ბოლომდე დამახასიათებელი ეკონომიკის მართვისათვის. როდესაც უცხოური ფირმები შედიან, მათ მიმართ რეჟიმი ავტორიტარული ნამდვილად არ არის. ამავდროულად სინგაპურის მოდელი არის კლასიკური სქემა სახელმწიფო კაპიტალიზმის განვითარების, როდესაც სახელმწიფო არის აქტიური მეწარმე.

თუკი პარალელებს გავავლებთ დავინახავთ, რომ პრაქტიკულად ჩვენს ქვეყანაში რა პრიორიტეტებიც არის გაუღერებული და რა მიმართულებითაც მიდის მუშაობა, ეს ყველაფერი ძალიან გავს სინგაპურის მოდელს.

### „მ.კ“: კონკრეტულად რაში გავს?

**ლ.პ:** მაგალითად, პოლიციის რეფორმა, რაც საქართველოში განხორციელდა, დაახლოებით ასეთივე რეფორმა ჩატარდა სინგაპურშიც. სინგაპურიდან იქნა შემოღებული უბნის მეთვალყურები თუ დამკვირვებლები, როდესაც ყველა სახლს პყავს თავისი ამხანაგობის თავმჯდომარე. ასევე ინფრასტრუქტურაზე გაწეული ხარჯები და ა.შ.

თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ სინგაპურში დიდი ფული იხარჯება განათლებაზე და ამაში საქართველოს ნამდვილად არ გადმოაქვს მისი მაგალითი. კი გაჩნდა შესაძლებლობა, რომ ახალგაზრდების გარკვეულმა ნაწილმა მიიღოს ბიუჯეტიდან თანხა საზღვარგარეთ განათლების მისაღებად, მაგრამ სინგაპურში ეს ბევრად უფრო მასშტაბური იყო. ჩვენ რეალობაში ეს შედარებით მწირია.

საერთო ჯამში კი ეს ყველაფერი ძალიან გავს საქართველოს ხელისუფლების მიერ გადადგმულ ნაბიჯებს. რაც მთავარია, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს მმართველობის ავტორიტარული რეჟიმი. თავად სინგაპურის მმართველი ლი კუან იუ, ხელისუფლების სათავეში იყო 25 წლის განმავლობაში და მმართველი პარტია კი 50 წლის განმავლობაში და აქაც ჩვენც საკმაოდ დიდი მსგავსება გვაქვს, თუ რა განცხადებებს აკეთებს ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტი, რომელიც ფიქრობს, რომ მისი პარტია ხელისუფლებაში მოვიდა მრავალი ათეული

წლით, ხოლო საკონსტიტუციო ცვლილება მას აძლევს შესაძლებლობას ქვეყნის ხელმძღვანელის პოსტი განუსაზღვრელი ვადით ეკავოს. ლი კუან იუს როლი სინგაპურის განვითარებაში იმდენად დიდი და მნიშვნელოვანი იყო, რომ სინგაპურის მოდელს ამ კაცის სახელიც კი ჰქვია.

„მ.კ“: რამდენად გამართლებულია, რომ დემოკრატიული ქვეყანა ამ მოდელის გადაღებას ცდილობდეს?

ლ.პ: ყოველ შემთხვევაში, სინგაპურის მოდელი არათავსებადია დემოკრატიზაციასთან. ის არა მხოლოდ არათავსებადია ევროპაგშირის ფასეულობებთან, არამედ მისი დიამეტრალურად საწინააღმდეგოა. ეს არამარტო გეოგრაფიულად სხვა მიმართულებაა, არამედ საერთოდ სხვა სამყაროა და სიმბოლურად გეოგრაფიული ვექტორიც კი დაემთხვა იმას, რომ ეს ქვეყანა სხვაა და დასავლეთი სხვა.

ქვეყნის ხელმძღვანელობა კი ძალიან ხმამაღლა და ბევრს ლაპარაკობს იმაზე, თუ რა მნიშვნელობა აქვს ქვეყნის მოდერნიზაციას. მოდერნიზაცია კი თავისთავად დემოკრატიზაციას არ ნიშნავს. თუმცა, დემოკრატიზაცია ნამდვილად ნიშნავს მოდერნიზაციას. ამაში კი დიდი საქართველოსა და რუსეთის ხელისუფალთა მსგავსება.

თანაც, ერთი რამეც უნდა გავითვალისწინოთ. სინგაპური პრაქტიკულად არის ქალაქი-სახელმწიფო და მისი განვითარება დიამეტრალურად სხვა არის, გიდრე იმ ქვეყნის, რომლის მოსახლეობის 50%-ზე მეტი სოფლად ცხოვრობს და ქვეყანაში აშკარად გამოკვეთილი აგრალური ტრადიცია არსებობს. ეს არათავსებადი სისტემებია.

მაგრამ, კარგი იქნება თუ საქართველოს ხელისუფლება სინგაპურიდან გაიზიარებს იმას, რომ, რაც შეიძლება მეტი ფული ჩაიდოს განათლებაში, ახალგაზრდა კადრების მომზადებაში. თუკი ამას გააკეთებს, ეს იქნება ყველაზე სწორი მიმართულება სინგაპურის გამოცდილების გაზიარებისთვის.

„მ.კ“: თავი რომ დავანებოთ დემოკრატიზაციას, თავად ამ მოდელის გადმოტანა რამდენად არის გამართლებული და ქართული ხასიათი მიიღებს თუ არა ამ მოდელს?

**ლ.პ:** სინგაპურის მოდელი დემოკრატიზაციას გამორიცხავს. ეს არის მხოლოდ და მხოლოდ მოდერნიზაციაზე აგებული მოდელი. ეს უნდა გვახსოვდეს. მოდერნიზაცია კი ავტორიტარული რეჟიმის პირობებში, ადვილად მისაღწევია, მაგრამ ამას არაფერი აქვს საერთო დემოკრატიზაციასთან. როდესაც გინდა, რადაცას მიაღწიო, როდესაც გინდა, გყავდეს განათლებული ხალხი და განავითარო ინფრასტრუქტურა, ეს ყველაფერი მიღწევადია, მაგრამ, ვიმეორებ, ეს არ არის დემოკრატია.

მოდერნიზაციის კლასიკური მაგალითი, რასაც ხშირად აღნიშნავენ ექსპერტები, მოგვცა სტალინის რეჟიმმა. მოდერნიზაციი მან საკმაოდ წარმატებულად განახორციელა: კოლექტივიზაცია, თუ ინდუსტრიალიზაცია საკმაოდ მცირე დროში განხორციელდა, მაგრამ ესენი თავისთავად სულაც არ იყო დემოკრატიულობის მაჩვენებელი.

ქართველის ბუნებაში პრიორიტეტული არ არის მორჩილება; ქართველი ბუნებით უფრო თავისუფლების (ხანდახან ზედმეტი თავისუფლების) მომთხოვნია. ხოლოდ თავისუფლება დემოკრატიზაციის და თავისუფალი საზოგადოების შენებლობის გარეშე წარმოუდგენელია.

ეს არის კიდევ ერთი არსებითი ნიშანი, რატომ არ გამოვა საქართველოს სინგაპურიზაცია. ეს უკანასკნელი რომ განვახორციელოთ საჭირო იქნება, რომ ქართველები გადავაჯიშოთ და სხვა გენი “ჩავუდოთ”. ეგებ სწორედ ამას ემსახურება ბურების ჩამოყვანაც, თუმცა ბურებიც თავისი მენტალიტეტით და ხასიათით ძალიან შორს არიან სინგაპურულისგან.

**„მ.პ“: ხელისუფლებას ეს გააზრებული არა აქვს, რატომ კეთლება არჩევანი სინგაპურიზაციის სასარგებლოდ?**

**ლ.პ:** საქმე იმაშია, რომ, როდესაც ხელისუფლება იძახის საქართველოს სინგაპურიზაციას, აქაც ჩვენ ბოლომდე არ შეგვიძლია, შევაფასოთ ხელისუფლების ხედვა იმიტომ, რომ, განცხადებების გარდა, არანაირი დოკუმენტი არ არსებობს, სადაც აღწერილი იქნება ქვეყნის განვითარების პროგრამა სწორედ სინგაპურის გზით. რა უნდა გაკეთდეს, როგორ და როდის, რომ სინგაპურის რეჟიმი დამყარდეს, ამის შესახებ არც დოკუმენტი არსებობს და არც რაიმე წერილობითი გეგმა. არსებობს მხოლოდ ზეპირი განცხადებები.

11 თებერვალს, როდესაც პრეზიდენტი პარლამენტი მივიდა, მან ორი ურთიერთგამომრიცხავი განცხადება გააკეთა. ერთი მხრივ თქვა, რომ საქართველოს დასჭირდება 6-7 წელი, რომ მიაღწიოს იმას, რასაც მიაღწია სინგაპურმა. ეს დრო დღევანდელი გადასახედიდან არის 2017-2018 წლები. ანუ იგი შეგვაირდა, რომ ამ დროისთვის საქართველოში იქნება სინგაპურის მხგავსი ეკონომიკა. მაგრამ იმავდროულად თქვა, რომ საქართველო ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმს მიაღწევს 2015 წლისთვის.

თუ კი ამ დროისთვის ეს მართლაც მოხდა, მაშინ პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება, რომ 2017-2018 წლებში გვქონდეს სიგაპურული მოდელი. აქაც კი ხელისუფლების პოზიცია არის ურთიერთგამომრიცხავი. ამის გამო კი ძალიან მნელია იმის შეფასება, თუ რამდენად გააზრებული აქვს საქართველოს ხელისუფლებას ის, რასაც აკეთებს. თუმცა, ერთი რამ ფაქტებიდან ჩანს, რომ სინგაპურიზაციის მიმართულებით უფრო მეტი რამ კეთდება, ვიდრე ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის მისაღწევად.

**„მ.კ“: ევროკავშირისთვის ეს რამდენად მისაღები იქნება და ისინი მაინც არ უძნებიან, რომ ესენი თავსებადი არ არის?**

**ლ.პ:** ევროკაშირის ექსპერტები, რომლებიც ჩამოდიან და არამარტო მთავრობას ხვდებიან, არამედ ქართველ ექსპერტებსაც, ისინი ჩემთან საუბრისას არც მალაგენ თავის გაოცებას და აღშფოთებას ამ სინგაპურიზაციისკენ სწრაფვისადმი. უფრო მეტიც, ისინი იმასაც ამბობენ, რომ საქართველოს ხელისუფლება ცდილობს, ისინი მოატყუოს, რაღაცას პირდებიან და არ აკეთებენ. მათ, არ ესმით, რატომ კარგავს საქართველო იმის შესაძლებლობას, რომ ევროკავშირთან მიაღწიოს ცივილიზირებული ვაჭრობის ფორმებს.

**„მ.კ“: თქვენი აზრით თუ არსებობს რაიმე მოდელი, რომლის მიხედვითაც უმჯობესი იქნებოდა საქართველოს ეკონომიკის განვითარება?**

**ლ.პ:** ასეთი კვიპროსული მოდელია. მისი ტერიტორიის ჩრდილოეთი ნაწილი უკვე 30 წელზე მეტია არის თურქების მიერ ოკუპირებული, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია კვიპროსისათვის, რომ ევროპული ტიპის რეფორმების გატარების შედეგად გამხდარიყო ევროკავშირის წევრი.

საქართველოსათვის კვიპროსის მაგალითი არის იდეალური იმისათვის, თუ რა მიმართულებით უნდა განვითარდეს უახლოეს პერიოდში.

### **რუსიკო მაჩაიძე**